



ტბილისის ბიომრეალობა

თბილისის მურობის უანლილსყო
თუნგინ მურგულსშვილი

სსსრჩუნო ვროგოსმის
ძირითასლი მიმსრთულეებუბი

„შენების მოძრაობა“

თბილისის მერობის კანდიდატი თენგიზ შერგელაშვილი

საარჩევნო პროგრამის ძირითადი მიმართულებები თბილისის არჩევნებში

ადგილობრივი არჩევნები ეროვნული მასშტაბის პოლიტიკური მოვლენაა. შესაბამისად, „შენების მოძრაობის“ პოლიტიკურ-პროფესიული ეთიკის სტანდარტები და პრინციპები არ გვამღვეს უფლებას, უკეთესი პოლიტიკური სტარტის მოლოდინში „გავატაროთ“ არჩევნები, დავკარგოთ დრო და, რაც მთავარია, ქვეყანაში ახალ პოლიტიკურ რეალობას მოწყურებულ საზოგადოებას იმედი გავუცროთ.

ჩვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგე არის ყველა, ვისაც სურს სიჯიუტით, მორჩილებით, მტრობით, ნაცნობობით, ტყუილით, კლანურობით, მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრით მართოს ქვეყანა და ქალაქი; ყველა ის, ვინც ახალგაზრდებში მხოლოდ საკუთარ აქტივს ხედავს, ხოლო საზოგადოებად მხოლოდ საკუთარ ამომრჩეველს მიიჩნევს.

სამწუხაროდ, თბილისის წინა ხელისუფლებებმა პრაქტიკულად ყველა სფეროში უამრავი გადაუჭრელი პრობლემა დაგვიტოვეს, რომელთა სწორი იდენტიფიკაცია, პრიორიტეტიზაცია და, რაც მთავარია, მათი გადაჭრის ეფექტიანი გზების განსაზღვრა შესაძლებელი გახდა პროფესიონალებისა და პოლიტიკოსების ერთობლივი მუშაობის შედეგად.

ყველა პროგრამული შეთავაზება ეფუძნება ღრმა ანალიზს, კომპეტენტურ შეფასებებსა და მკაცრ გაანგარიშებებს. ამასთან ერთად, ზედმიწევნით გათვალისწინებულია ამა თუ იმ სფეროში წარმატებით რეალიზებული საერთაშორისო სტრატეგიები და დედაქალაქის სპეციფიკა. სამუშაო პროცესში ჩართული იყო სხვადასხვა დარგის ბევრი მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალი, რომელთა ნაწილი, ჩვენი გამარჯვების შემდეგ მერიასა და საკრებულოში ერთიანი გუნდის სახით იქნება წარმოდგენილი.

ჩვენი თვითმიზანი არ არის მხოლოდ სახელებისა და გვარების შეცვლა. ჩვენი არ გვინდა წარსულში ჩარჩენა, ჩვენ გვინდა დედაქალაქში ახლებური ცხოვრების დანერგვა და დედაქალაქის მართვის ისეთი სისტემების შექმნა, რომლებიც თითოეული მცხოვრების უკეთეს ყოფაზე იქნება ორიენტირებული. ამ გზაზე კი, ჩვენი კრედო იქნება - რაც კარგია, ვუვლით; რაც გვაკლია, ვქმნით; რაც ცუდია, ვცვლით.

„შენების მოძრაობის“ მერობისა და საკრებულოს კანდიდატებისთვის ხმის მიცემა ნიშნავს, ხმა მისცეთ პროფესიონალიზმს, პატიოსნებასა და პრინციპულობას, ანუ იმ სამ უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს, რომლებიც ყველაზე მეტად აკლია დღევანდელ ქართულ პოლიტიკასა და თბილისის ხელისუფლებას.

ჩვენს საარჩევნო პროგრამაში 7 პრიორიტეტული მიმართულებაა:

- ჯანსაღი გარემო
- ქალაქგეგმარება და მშენებლობა
- თბილისის მართვა
- ტრანსპორტი
- განათლება
- ჯანმრთელობის და სოციალური დაცვა
- ეკონომიკა, ბიზნესი და დასაქმება

აღნიშნული პრიორიტეტები არაერთი პრობლემის გადაჭრაზე ან მოგვარებაზეა ორიენტირებული, ხოლო თბილისელთა კარგად ყოფნა, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა უმთავრეს მიზანს წარმოადგენს. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ ყველაზე ქმედით საშუალებას ქალაქში გარემოს დაცვა და ჯანსაღი გარემოს შექმნა წარმოადგენს. ეს საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია, ხოლო რეალური წარმატება მხოლოდ თანამედროვე, სისტემური მიდგომებითა და კომპლექსური ღონისძიებების გატარებით მიიღწევა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი პროგრამული მიმართულებების არაერთი შეთავაზება, სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი და მრავალრიცხოვანი პრობლემების მოგვარებასთან ერთად, ჯანსაღი, თბილისელთა ჯანმრთელობისათვის აუცილებელი გარემოს შექმნას ემსახურება.

ჩვენი საარჩევნო პროგრამის მთავარი მიზანია, თბილისი გადავაქციოთ თანამედროვე, დინამიკურ, ეკოლოგიურად უსაფრთხო და ჯანსაღ, მოსახლეობისათვის კომფორტულ ქალაქად.

1. ჯანსაღი გარემო

- 1.1. თბილისის მერიის ხელშეწყობითა და ყველა დაინტერესებული მხარის: საზოგადოების, ადგილობრივი და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, განათლების, ჯანდაცვის, ტრანსპორტის, პოლიციის, კერძო სექტორის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მონაწილეობით, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციების გათვალისწინებით, შემუშავდება და შესაბამისი სამოქმედო გეგმის მიხედვით დაინერგება პროგრამა „ჯანსაღი ქალაქი“.
- 1.2. ყველა დაინტერესებული მხარის თანამონაწილეობით დაინერგება თბილისში გარემოს დაცვის, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ნორმატიული აქტები.
- 1.3. ქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა დამტკიცდება მხოლოდ მადაკვალიფიციური და გამჭვირვალე გარემოსდაცვითი ექსპერტიზის ჩატარებისა და მისი საჯარო განხილვის შემდეგ.
- 1.4. შემუშავდება და დაინერგება საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამა, რომელშიც კუთვნილი ადგილი დაეთმობა როგორც ქალაქის, ისე მისი რაიონების დონეზე ჯანსაღი გარემოსა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის საკითხებს.
- 1.5. ხელი შეეწყობა საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტების ადეკვატური კვლევების წარმოებას გარემოს დაცვისა და სამედიცინო ეკოლოგიის სფეროში.
- 1.6. ჯანსაღი გარემოს შესახებ მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით სკოლის მოსწავლეებისა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის შემუშავდება სხვადასხვა სასწავლო პროექტი.
- 1.7. თბილისის ენერგეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმასა (2011 წ.) და თბილისის გარემოსდაცვით სტრატეგიაზე (2015-2020 წ.წ.) დაყრდნობით შემუშავდება დედაქალაქის ატმოსფერული ჰაერის ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით დაბინძურების შემცირების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.
- 1.8. გაფართოვდება და მოდერნიზდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შემაფასებელი საზედამხედველო ქსელი (დაემატება, სულ მცირე, 5 სადგური); ამოქმედდება ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სრულფასოვანი, თანამედროვე სისტემა.

- 1.9. შემუშავდება ნარჩენების მართვის გეგმა, რომელშიც დეტალურად გაიწერება სამშენებლო მათ შორის სახიფათო ნარჩენების (ვერცხლისწყალი, აზბესტი, და სხვ.), განთავსებისა და მართვის საკითხები; ძველი და მოქმედი ნარჩენების პოლიგონებზე პერიოდულად ჩატარდება ნიადაგის, მიწისქვეშა წყლებისა და ჰაერის მონიტორინგი, რათა მათი დაბინძურების შემთხვევაში, ოპერატიულად გატარდეს ღონისძიებები ამ ტერიტორიების ნაგავსაყრელის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
- 1.10. განსაკუთრებულ პრიორიტეტს ვანიჭებთ ქალაქის დასუფთავებასა და სანიტარული ნორმების მკაცრ დაცვას. გაიზრდება საქალაქო სამსახურების მიერ დასასუფთავებელი საჯარო ადგილების რაოდენობა, ქუჩების დასუფთავების პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ მათი დაგვით, დაინერგება მორწყვა-მორეცხვის ტექნოლოგია, მთლიანობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება დასუფთავების ხარისხი, რაც, თავის მხრივ, მკვეთრად შეამცირებს ქალაქის დამტვერიანების დონეს.
- 1.11. უპატრონო ცხოველებთან მიმართებით: მჭიდროდ ვითანამშრომლებთ ამ მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ერთობლივად გავატარებთ ღონისძიებათა ისეთ კომპლექსს, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს მოქალაქეთა ჯანმრთელობისათვის საშიშ რისკებს. განახლდება თბილისში ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის წესები, დაწესდება ზედამხედველობა მათ მკაცრ დაცვაზე.
- 1.12. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციაზე და გამართულ მუშაობაზე. შემუშავდება კონკრეტული გეგმა დღეს არსებული სავალალო მდგომარეობის რადიკალურად შესაცვლელად. დადგინდება სტანდარტები მოსული ნალექისა და სანიაღვრე სისტემის გამტარიანობის თანაფარდობას შორის და მოხდება სანიაღვრე სისტემების გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა.
- 1.13. თბილისის 33 უბნიდან მხოლოდ 9 არის უზრუნველყოფილი შედარებით ადეკვატური სარეკრეაციო სივრცით. ოფიციალური ინფორმაციით, ქალაქის ერთ სულ მოსახლეზე მწვანე ნარგავების საშუალო სიდიდე (4 კვ.მ-ზე) ათჯერ ნაკლებია ევროპის ქალაქების ამავე მაჩვენებელზე. ბევრად უფრო დრამატულია სტატისტიკა ქალაქის ნაშენ ნაწილში (1,5კვ.მ). ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ დედაქალაქი ჟანგბადის მწვავე დეფიციტს განიცდის, რომ არაფერი ითქვას ჰაერის დაბინძურების მაღალ ხარისხზე. ქალაქისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მწვანე საფარის გაფართოების მიზნით, ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობით შემუშავდება მიზნობრივი მუნიციპალური პროგრამა და მისი სამოქმედო გეგმა, შემოღებული იქნება შენობებისათვის გამწვანების ახალი სტანდარტი, ხოლო იმ ადგილებში, სადაც სარეკრეაციო ზონის გაზრდა შეუძლებელია, გამოყენებული იქნება მსოფლიოს ქალაქებში წარმატებით რეალიზებული გამწვანების ინოვაციური ფორმები.
- 1.14. შემუშავდება და ამოქმედდება რეგულაციები, რომლებიც დაავალდებულებს სამშენებლო კომპანიებს, დაიცვან გარემოს დაცვის წესები და გამწვანების ნორმები.
- 1.15. როგორც ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების, ისე ზოგადად გარემოს დაცვის მიზნით დაგეგმილია: საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის სქემების ოპტიმიზაცია; ავტობუსების პარკების სრულად განახლდება ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტით; ჩქაროსნული ტრამვაის ხაზისა და სატრანსპორტო საბაგირო გზების მშენებლობა; პარკირების განახლებული რეგულირების სქემაში ჰიბრიდული და ელექტროავტომობილებისათვის უპირატესობის მინიჭება; ტაქსების ახალი რეგულაცია და ძველი მანქანების ჰიბრიდული მანქანებით ჩანაცვლების პროგრამის ამოქმედება; შესაბამისი პროგრამის ფარგლებში შენობებში ენერჯის დამზოგველ ღონისძიებათა კომპლექსის გატარება და ეკოლოგიურად უსაფრთხო, ეკონომიური გათბობის სისტემების ეტაპობრივად დანერგვა; ნარჩენების საყოფაცხოვრებო, სამრეწველო, სამედიცინო და ბიოლოგიური კატეგორიების შესაბამისად ინვენტარიზაცია; ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა; თბილისს ახლად მიერთებულ ტერიტორიებზე, ხევებში და გზების პირას მოსახლეობის მიერ საყოფაცხოვრებო ნარჩენების თვითნებური განთავსების აღკვეთის მიზნით მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავება.

2. ქალაქგეგმარება და მშენებლობა

- 2.1. თბილისში თანაბრად უნდა ვითარდებოდეს ცენტრიც და გარეუბნებიც. ჩვენ დავნერგავთ კერძო სექტორის მასტიმულირებელ ღონისძიებათა ერთობლიობას (პაკეტი) იმისათვის, რომ ქალაქის ყველა უბანში გაჩნდეს მუნიციპალური სერვისები, ბიზნესის განვითარებისა და დასაქმების არეალები, სავაჭრო ცენტრები, საბანკო მომსახურების დაწესებულებები, სპორტული, გასართობი და გამაჯანსაღებელი ობიექტები.
- 2.2. ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ დედაქალაქი საცხოვრებლად თანაბრად კომფორტული გახდეს ქვეითად მოსიარულეებისა და ავტომფლობელების, მოხუცებისა და ბავშვების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და უკლებლივ ყველა თბილისელისათვის.
- 2.3. თბილისის მერიის მიერ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო მასალები და არა დასრულებული გეგმა დაგვიანებით მომზადდა, თანაც ისე, რომ მას წინ არ უძღოდა ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დამტკიცებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმები. ჩვენ პარალელურ რეჟიმში მოვამზადებთ და დავამტკიცებთ ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმას და ფართო განხილვებისა და დაინტერესებული მხარეების მაღალი ჩართულობით დავამტკიცებთ ქალაქის მიწათსარგებლობის ახალ გენერალურ გეგმას. გენერალური გეგმის დამტკიცებამდე აუცილებლად ჩატარდება გარემოსდაცვითი ექსპერტიზა. თბილისი უნდა გახდეს ევროპის ერთ-ერთი ყველაზე მწვანე და ეკოლოგიურად სუფთა ქალაქი.
- 2.4. ჩვენი პირველი რიგის ამოცანაა ეფექტიანი მონიტორინგისა და საზოგადოებრივი ზედამხედველობის მექანიზმის შემუშავება და დანერგვა. ჩვენ 6 თვეში ერთხელ თბილისელებს ჩავაბარებთ ანგარიშს გაწეული სამუშაოსა და მისი შედეგების შესახებ. აიკრძალება გენერალური გეგმიდან რაიმე სახის გადახვევა, რადგან დედაქალაქის წინა და ახლანდელ ხელისუფლებათა მიერ დაშვებულმა „გამონაკლისებმა“ წარმოუდგენლად დაამახინჯა ქალაქის იერსახე და ცხოვრება გაურთულა თბილისელებს. მხოლოდ ასეთი მიდგომით დროულად დაიწყება თბილისის ურბანული ცხოვრების რეალური გაუმჯობესება და სწორი მიმართულებით განვითარება.
- 2.5. მერიის მიერ შეიქმნება თბილისის განვითარების ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტში თავს მოიყრის თბილისის ისტორიის კვლევის და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების საკითხები, ქალაქის სოციალური და ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის საკითხები, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და ქალაქის ფუნქციონირების სხვა საკითხებთან დაკავშირებული სტრატეგიული და გეგმარებითი დოკუმენტების რეალიზაციის ანალიზის, შეფასების, მათში კორექტირების და შევსების რეკომენდაციის ფუნქციები. ქალაქის განვითარება საჭიროებს ინსტიტუციური მეხსიერებისა და მემკვიდრეობითობის პრინციპის დაცვას და, ასევე, კომპლექსურობას.
- 2.6. კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობითა და მოქალაქეებთან უშუალო ურთიერთობის საფუძველზე ჩვენ განვახორციელებთ ავარიულ სახლებში მცხოვრებთათვის სპეციალურ პროგრამას. ამ პროგრამის მიზანი იქნება ისეთი ეფექტიანი პროცესის ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს ავარიული კორპუსების ჩანაცვლებას ახალი საცხოვრებელი სახლებით. ჩანაცვლება უნდა მოხდეს მინიმალური და ეფექტიანი დანახარჯების, სწორი არქიტექტურული განაშენიანებისა და მოსახლეობასთან სამართლიანი დამოკიდებულების შენარჩუნების პირობით. მოქალაქეს, რომელიც დღეს ცხოვრობს ავარიულ სახლში, ექნება შესაძლებლობა, უსასყიდლოდ გადავიდეს, სულ მცირე, იმავე ზომის ხარისხიან ბინაში. დავიწყებთ ყველაზე სავალალო მდგომარეობაში მყოფი შენობებიდან და 4 წლის განმავლობაში თბილისში ავარიულ და გაუსაძლის საცხოვრებელ პირობებში მცხოვრებთა პრობლემის გადაჭრაში არსებით გარდატეხას მოვახდენთ.
- 2.7. მოხდება ყველა ძველი უბნის რეაბილიტაცია. კულტურულ მემკვიდრეობად აღიარებული საცხოვრებელი სახლების საკითხში მოქალაქეებთან და ინვესტორებთან უშუალო თანამშრომლობით განხორციელდება პროგრამა, რომელიც ამ კულტურულ მემკვიდრეობას მოქალაქეებისა და თბილისისთვის შემოსავლის წყაროდ აქცევს.

- 2.8. დღეს როგორც ძველ, ისე ახლად აშენებულ საცხოვრებელ სახლებში, გათბობის ინდივიდუალური სისტემებია დამონტაჟებული. პრაქტიკულად ყველა შენობას აქვს ენერგოეფექტიანობის სერიოზული პრობლემა. შესაბამისად, დიდია ენერგეტიკული დანაკარგები და გათბობაზე გაწეული ხარჯები. ამ სერიოზული პრობლემის მოგვარების მიზნით, „შენების“ გუნდს განზრახული აქვს **ენერგოეფექტიანობის პროგრამის განხორციელება**. პროგრამის მიხედვით ყოველ მშენებარე კორპუსს წაეყენება ენერგოეფექტიანობის მოთხოვნა, რაც გულისხმობს შენობის ენერგოდანაკარგების მნიშვნელოვნად შემცირებას, გათბობისა და ცხელი წყლის ცენტრალიზებულ სისტემებზე გადასვლას. უკვე არსებული შენობების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებთან თანამშრომლობითა და ურთიერთსასარგებლო შეთანხმების საფუძველზე განხორციელდება შენობების თბოიზოლაციის, ენერგეტიკული დანაკარგების შემცირებისა და ინდივიდუალური გათბობის სისტემების ცენტრალური გათბობისა და ცხელი წყლით უზრუნველყოფის სისტემებით ჩანაცვლება. ყოველივე ეს საგრძნობ ეკონომიას მისცემს ოჯახებს, შეამცირებს მოსახლეობასა და გარემოზე მავნე ზემოქმედებას.
- 2.9. ინფრასტრუქტურული პროექტებისადმი „შენების“ გუნდის უმთავრესი მოთხოვნებია: **თანამიმდევრულობა, მაღალი ხარისხი და შესრულების სისწრაფე**. მუნიციპალური შესყიდვების დაგეგმვისას ჩვენ დავნერგავთ ორცვლიან და, ზოგიერთ შემთხვევაში, სამცვლიან სამშენებლო სამუშაოებს. ბევრი დრო გვაქვს დაკარგული და სწრაფი ტემპები დღეს მნიშვნელოვანია.

3. თბილისის მართვა

- 3.1. თბილისის თვითმმართველობა უფრო ახლოს მივა თითოეულ მოქალაქესთან. უნდა მომზადდეს საკანონმდებლო ინიციატივა თბილისის რაიონების თვითმმართველობებად ფორმირებისა და მათი გამგებლების არჩევითობის შესახებ და წარედგინოს საქართველოს პარლამენტს. საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე კი თბილისი დღევანდელი 10-ის ნაცვლად დაიყოფა 25-მდე ერთეულად და ყოველ უბანს ეყოლება თავისი გამგებელი. ამ ცვლილებით, საერთო ჯამში, ბიუროკრატია არათუ გაიზრდება, არამედ მთლიანად მერიის სისტემაში მართვის სისტემის გაუმჯობესების, ოპტიმალური სტრუქტურული და საშტატო ცვლილებების შედეგად შემცირდება კიდევ.
- 3.2. მერიასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გარკვევას მოქალაქეები შეძლებენ გამგებებში „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მომუშავე სისტემის საშუალებით. ყველა გამგებელთან შეიქმნება საზოგადოებრივი საბჭო, რომელშიც შევლენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიერ არჩეული მოქალაქეები. მოქალაქის განცხადებაზე პასუხის გასაცემად დაწესებული ყველა ოფიციალური ვადა განახევრდება. მერიასა და გამგებებში შესული განცხადებები სპეციალურ ვებგვერდზე განთავსდება და მოქალაქეებს ექნებათ შესაძლებლობა, თვალყური ადევნონ მათი განცხადებების მსვლელობას, გაეცნონ პასუხისმგებელი პირების შუალედურ დასკვნებს და ონლაინ კომუნიკაციით დააზუსტონ დეტალები.
- 3.3. შეიქმნება **სპეციალური ვებგვერდი**, რომლის საშუალებითაც მოქალაქეს ექნება კონკრეტული პრობლემის შესახებ ინფორმაციის განთავსების შესაძლებლობა (ინფორმაცია დაზიანებული ინფრასტრუქტურის შესახებ, ფოტოსურათები, ვიდეომასალა). ასეთი სისტემა უზრუნველყოფს პრობლემის მოგვარების პერიოდის ავტომატურ ათვლასა და მის მოსაგვარებლად გადადგმული ნაბიჯების ირგვლივ საზოგადოების ინფორმირებას. იმუშავებს თბილისის უნივერსალური „ცხელი ხაზი“.
- 3.4. თბილისის ბიუჯეტი გახდება რეალურად პროგრამული და გამჭვირვალე. შეიქმნება მუდმივად განახლებადი ღია მონაცემთა ბაზა, რომლის მეშვეობითაც თბილისელები მკაფიოდ დაინახავენ, როგორ სრულდება დაგეგმილი სამუშაოები მთლიანად ქალაქში, კონკრეტულ ქუჩასა თუ უბანში.
- 3.5. თბილისისთვის, როგორც მუნიციპალიტეტისთვის აქტუალურია ცენტრალურ ხელისუფლებასთან საკუთარი უფლებების მტკიცე დაცვა. მნიშვნელოვანია თბილისის ბიუჯეტში

მეტი ფინანსური რესურსების დატოვების უზრუნველყოფა. 2016 წლიდან „შენების მოძრაობის“ ამჟამინდელი წევრების დამსახურებით თბილისის ბიუჯეტში სრულად რჩება მეწარმე ფიზიკური პირების მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი. ჩვენ ამ პროცესს არჩევნებში გამარჯვების შემდეგაც გავაგრძელებთ და ყველა ღონეს ვიხმართ, რომ თბილისის ბიუჯეტში ასევე დარჩეს თბილისის ტერიტორიაზე დაქირავებით მომუშავეთა მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის 30%. კანონდებლობით, თბილისის ტერიტორიაზე არსებული საკმაო მოცულობის მიწის ფართობები გამოცხადებულია თბილისის საკუთრებად, თუმცა არ არის მოგვარებული მათი გადმოცემის და თბილისზე დარეგისტრირების საკითხი. **თბილისის მუნიციპალიტეტი ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართებაში წარმართავს შესაბამის ძალისხმევას და ჩაატარებს სამუშაოს, იმისათვის რომ ეს მიწის ნაკვეთები დარეგისტრირდეს თბილისზე.** თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ქალაქის ეკონომიკის განვითარების, მათ შორის მცირე ბიზნესის ხელშეწყობისა და ქალაქგეგმარებითი გეგმების რეალიზაციისთვის ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება.

3.6. კანონდებლობით, თბილისის ტერიტორიაზე არსებული საკმაო მოცულობის მიწის ფართობები გამოცხადებულია თბილისის საკუთრებად, თუმცა არ არის მოგვარებული მათი გადმოცემის და თბილისზე დარეგისტრირების საკითხი. **თბილისი ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართებაში წარმართავს შესაბამის ძალისხმევას და ჩაატარებს სამუშაოს, იმისათვის რომ ეს მიწის ნაკვეთები დარეგისტრირდეს თბილისზე.** თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ქალაქის ეკონომიკის განვითარების, მათ შორის მცირე ბიზნესის ხელშეწყობისა და ქალაქგეგმარებითი გეგმების რეალიზაციისთვის ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება.

3.7. თბილისს, როგორც მუნიციპალიტეტს, აქვს კანონით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებები. ამასთან, კანონდებლობა ითვალისწინებს ცენტრალური ხელისუფლების ცალკეული ფუნქციების დელეგირებას თბილისზე. ჩვენ მიერ ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე **ცენტრალური ხელისუფლების წინაშე დასმული იქნება ხელშეკრულების საფუძველზე ცალკეული ფუნქციების დელეგირების საკითხი**, რაც ქალაქისა და მისი მოსახლეობის ინტერესებთანაა დაკავშირებული და თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ უფრო ეფექტიანად განხორციელდება.

4. ტრანსპორტი

4.1. ტრანსპორტის პრობლემები თბილისში კომპლექსურია, რასაც ვერ მოაგვარებს მხოლოდ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ვერც „სითიპარკთან“ კონტრაქტის გაწყვეტა. უფრო მეტიც, ტრანსპორტის პრობლემები მხოლოდ ავტომფლობელებზე არ გადის. ჩვენ ყველას: ქვეითად, ველოსიპედით, ავტომობილით, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსიარულეს უნდა შევუქმნათ გადაადგილების კომფორტული გარემო. ამასთან, სატრანსპორტო გარემო ერთდროულად და თანაბრად უნდა პასუხებდეს თანამედროვე დინამიკური ქალაქის მოთხოვნებს და უნდა იძლეოდეს მოქალაქეთა და ქალაქის სტუმართათვის მობილობისა და უსაფრთხო გადაადგილების შესაძლებლობას. საჭიროა საზოგადოებრივი ტრანსპორტის სფეროში კარდინალური ცვლილებები ქვეითად მოსიარულეთა, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ბავშვებისა და მოხუცების უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. ჩვენი მერიაში საქმიანობის დასაწყისშივე და შემდგომაც პერიოდულად მერიისა და რაიონის გამგეობის წარმომადგენლები აღწერენ და შეაფასებენ სად რა შეფერხებაა ქვეითად მოსიარულეთათვის, ბავშვების, მოხუცების და შშმ პირთა გადაადგილებისათვის. ეს ყველაფერი აისახება და განთავსდება ვებგვერდზე, სადაც მოქალაქეები დაამატებენ საკუთარ ინფორმაციას, ხოლო მერიის შესაბამისი სამსახურები განათავსებენ კონკრეტული პრობლემების მოგვარების სქემებს და გადაჭრის ვადებს. თითოეულ თბილისელს ექნება საშუალება, დააკვირდეს, როგორ უმჯობესდება მდგომარეობა ამ კუთხით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

4.2. ამავე დროს, საგზაო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, პარკირების სივრცეების ჩათვლით, არა განცალკევებულად, არამედ საერთო სისტემის ნაწილად უნდა განვიხილოთ. დღეს, განსაკუთრებით პოლიტიკურ წრეებში, საკმაოდ გახშირდა საუბარი „სითიპარკის“ თბილისიდან განდევნის თემაზე. თანაც, ამას აცხადებენ ისინი, ვინც თვითონ შემოიყვანა ეს კომპანია კაბალური ხელშეკრულების პირობებით, აგრეთვე ისინიც, ვისაც დახვდა ეს კომპანია, თუმცა, მასთან დაკავშირებით ვერანაირი გადაწყვეტილება ვერ მიიღო. თბილისის გრძელვადიანი განვითარების გეგმის შესაბამისად, შემუშავდება პარკირების სისტემის განვითარების ერთიანი სტრატეგია, როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტი პარკირების რეგულირებისთვის. პარკირების განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიზანი იქნება სპეციალური ინდიკატორების საფუძველზე მოკლე, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში პარკირების რეგულირების სისტემის და პოლიტიკის ჩამოყალიბება. დაინერგება საცობების პროგნოზირებისა და პარკირების ფასწარმოქმნის ინტეგრირებული მოდელი. პარკირების მართვა განხორციელდება კოორდინირებულად, თბილისის ხელმძღვანელობისა და პარკირების ოპერატორის მიერ. შემოვიღებთ პარკირების ზონირების მექანიზმს, ანუ პარკირების საფასური იქნება დიფერენცირებული პარკირების ადგილის, დროის და ავტომანქანის სახეობის მიხედვით. პარკირების დროითი შეზღუდვები და საფასურის მოცულობა დაარეგულირებს პარკირების ადგილებზე მოთხოვნასა და ამ ადგილების თანაფარდობას. უზრუნველყოფილი იქნება ინტენსიური პარკირების ადგილებში ქუჩისმიღმა მიწისზედა და მისწისქვეშა პარკირების ადგილების მოწყობა. ძველი თბილისის მიმდებარე და ტურისტულ არეალებს, სადაც განსაკუთრებით მაღალი სიმჭიდროვეა, გავათავისუფლებთ დატვირთული პარკირებისა და სამანქანო ნაკადისაგან, რათა ქალაქის ეს ნაწილი გახდეს უფრო მიმზიდველი როგორც ტურისტების, ისე ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის. ამასთან ერთად, ქალაქის ამ ნაწილში მიზანშეწონილი იქნება „დაბალსიჩქარიანი ქუჩების“ ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს და უფრო უსაფრთხოს გახდის საფეხმავლო და საველოსიპედო ქსელის განვითარებას. ჩვენ უზრუნველყოფთ იმასაც, რომ „სითიპარკი“ ან ჩაეწერება ქალაქის სატრანსპორტო ტრანსფორმაციის ჩვენ მიერ შემუშავებულ გეგმაში, ან მასთან გავეწყვეტთ სახელშეკრულებო ურთიერთობებს, თუნდაც ეს მრავალწლიან საარბიტრაჟო დავასთან და გარკვეულ ფინანსურ რისკებთან იყოს დაკავშირებული. გვჯერა, რომ ქალაქის ყოფითი გარემო პრიორიტეტულია და ზოგჯერ დაშვებული შეცდომის გამოსასწორებლად აუცილებელია გონივრულ ფინანსურ მსხვერპლზე წასვლა.

4.3. მთლიანად განახლება ავტობუსების პარკი. ყველა ავტობუსი იქნება თანამედროვე, კომფორტული და საერთაშორისო ეკოლოგიური სტანდარტების შესატყვისი. უზრუნველყოფილი იქნება ავტობუსების მოძრაობის განრიგი წუთობრივი სიზუსტით. გადაიხედება სამარშრუტო ტაქსების მოძრაობის სქემები, შემცირდება მათი მარშრუტის არეალები და ისინი მსხვილი სატრანზიტო ხაზებისთვის შემავსებლის ფუნქციას შეიძენენ. ამ პროცესში, ერთი მხრივ, შემცირდება მათი ნეგატიური ზეგავლენა ქალაქის სატრანსპორტო მოძრაობაზე, ხოლო მეორე მხრივ, შემცირდება მოქალაქეთა ტრანსპორტით გადაადგილების პრობლემა. ყველა საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოექცევა ერთიანი საბილეთო სისტემაში. დაინერგება სხვადასხვა ვადიანი სააბონენტო სისტემა, რათა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენებისას შემცირდეს ერთი მგზავრობის საშუალო საფასური.

4.4. გაიწერება თბილისში 10 წლის განმავლობაში ჩქაროსნული ტრამვაის ხაზების გაყვანის დეტალური გეგმა. პირველ 4 წელიწადში აშენდება და ამოქმედდება 11 კმ-იანი ჩქაროსნული ტრამვაის ხაზი, რომელიც მნიშვნელოვანი სატრანზიტო დერეფნის როლს შეასრულებს ქალაქისთვის. ძირითადი სამუშაოები დასრულდება მეორე მარშრუტზე და საპროექტო სამუშაოები შესრულდება მესამეზე. თბილისის რელიეფის გათვალისწინებით, მოსახლეობისთვის ყოველდღიურ სატრანსპორტო დანიშნულებაზე ორიენტირებული საბაგირო გზების მშენებლობა აგრეთვე გახდება ჩვენი პრიორიტეტი. რამდენიმე საბაგირო გზის მშენებლობით მნიშვნელოვნად გაიოლდება მოსახლეობის გადაადგილება თბილისის ცალკეულ უბნებში. სატრანსპორტო პრობლემის მოგვარებისთვის გადაიდგმება მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რაც გულისხმობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციასა და სატრანსპორტო კვანძების ოპტიმიზაციას, მათ შორის, ახალი საგზაო ობიექტების შექმნას. ამ კუთხით შემუშავებულ გეგმაში

გათვალისწინებული იქნება მოწინავე ევროპული ქალაქების გამოცდილება, მაღალი ხარისხის კვლევისა და გეგმარებითი სამუშაოების შედეგები.

4.5. სატრანსპორტო პრობლემის მოგვარებისთვის გადაიდგმება მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რაც გულისხმობს **საგზაო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციასა და სატრანსპორტო კვანძების ოპტიმიზაციას**, მათ შორის, ახალი საგზაო ობიექტების შექმნას. ამ კუთხით შემუშავებულ გეგმაში გათვალისწინებული იქნება მოწინავე ევროპული ქალაქების გამოცდილება, მაღალი ხარისხის კვლევისა და გეგმარებითი სამუშაოების შედეგები.

4.6. ჩვენ დავაწესებთ **რეგულაციებს ტაქსებისთვის**. სფეროს რეგულირების საწყის ეტაპზე პრიორიტეტულობა მიენიჭება: უსაფრთხოების უზრუნველყოფას, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობას, მომხმარებელთა დაცვასა და მძღოლთა ტრენინგებს, ასევე თანაბარი კონკურენტული გარემოს ხელშეწყობასა და მომსახურების თანამედროვე ფორმებისა და მიდგომების წახალისებას. მომსახურების მიწოდების პროცესში ჩართული პირების კვალიფიკაცია და ტექნიკური საშუალებები უნდა აკმაყოფილებდეს ისეთ სტანდარტებს, რომლებიც უზრუნველყოფს მგზავრების, მძღოლებისა და მესამე პირების უსაფრთხოებას. მოხდება ყველა ინდივიდუალური და სატაქსო გადაზიდვების კომპანიების რეგისტრაცია. კოორდინირებული იქნება ტაქსების სამუშაო დღეების და საათების განრიგები იმგვარად, რომ ოპტიმიზებული იქნეს ერთდროულად მომუშავე ტაქსების რაოდენობა. მოეწყობა ტაქსების გასაჩერებელი ადგილები და ხელი შეეწყობა ტაქსის გამოძახების სისტემის განვითარებას. ამ ნაბიჯების ერთობლიობამ მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს მომხმარებლის ძიებაში ცარიელი ტაქსების დიდი რაოდენობის მოძრაობა ქალაქში. ჩვენ განვახორციელებთ პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს დღეს არსებულ საწვავზე მომუშავე ტაქსების ეტაპობრივ ჩანაცვლებას ჰიბრიდული ავტომობილებით, რომელიც თბილისში სულ მცირე 10 000 ტაქსის შეეხება.

5. განათლება

5.1. ჩვენ ვიზრუნებთ სკოლამდელი დაწესებულებების ხელმისაწვდომობისა და ამ პროგრამის ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესებისათვის. ამასთან ერთად, ხელი შეეწყობა სკოლამდელი განათლების ალტერნატიული და ინოვაციური მოდელების დანერგვას, აღსაზრდელთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული სასწავლო მასალების, თვალსაჩინოებების, ციფრული თუ ნაბეჭდი რესურსების შექმნას; შევიმუშავებთ და განვახორციელებთ შშმ ბავშვების მხარდაჭერის კომპლექსურ პროგრამას.

5.2. ყოველწლიურად აშენდება, სულ მცირე, 10 ახალი საბავშვო ბაღი, უზრუნველყოფთ ბაგა-ბაღების ვაუჩერიზაციას და კერძო სექტორის სტიმულირებას, რომ ახალ საცხოვრებელ კომპლექსებში გათვალისწინებული იყოს საბავშვო ბაღების მოწყობა. ბაგა-ბაღებში ბავშვების რეგისტრაციის პროცესს გავხდით გამჭვირვალეს და ხელმისაწვდომს.

5.3. მოვაწყოთ სკოლამდელი განათლების რესურსცენტრებს; განვახორციელებთ პედაგოგების უწყვეტი პროფესიული ზრდის პროგრამას; გავზრდით მშობლების, პროფესიული წრეებისა და საზოგადოების სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების ჩართულობას სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში.

5.4. სკოლებში მხარს დავუჭერთ ზუსტი და საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული და საზოგადოებრივი მეცნიერებების გაძლიერებული სასწავლო პროგრამების განხორციელებას და ვიზრუნებთ სკოლებისათვის შესაბამისი პროფილის სტატუსის მინიჭებაზე; ხელს შევუწყობთ სკოლების საერთაშორისო დამეგობრების პროცესს; განვახორციელებთ პროგრამას - „სასკოლო და მუნიციპალური ბიბლიოთეკები უწყვეტი განათლებისა და სტაბილური განვითარებისათვის“; სტაჟირებისა და მოხალისეობის მექანიზმების ამოქმედებით, მაქსიმალურად ხელმისაწვდომს გავხდით თბილისის მერიას და მის სისტემაში შემავალ დაწესებულებებს მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამებისათვის;

- 5.5. ნებისმიერი ასაკის მოქალაქისათვის განათლებას ვაქცევთ შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობისა და წარმატების მიღწევის ქმედით ინსტრუმენტად/მექანიზმად. მუნიციპალიტეტის საჭიროებების გათვალისწინებით დავაფუძნებთ პროფესიულ სასწავლებლებს (მაგ., მეტროპოლიტენი, საქალაქო ტრანსპორტი) და დავაფინანსებთ დეფიციტური პროფესიების სწავლებისა და გადამზადების მიზნობრივ პროგრამებს. დავაფინანსებთ სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლას პროფესიული განათლების კუთხით. ძირეულად განვაახლებთ და გავაფართოებთ სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობის პროგრამას, გავხდით მას შედეგზე ორიენტირებულს და ვიზრუნებთ ამ სტუდენტების კარიერულ წარმატებაზე.
- 5.6. მომავალი თაობების ჯანმრთელობის გაუმჯობესების, მავნე ჩვევებისადმი მიდრეკილების შემცირებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ზავშვთა და მოზარდთა შორის ფიზიკური აღზრდის დონის ამაღლებასა და სპორტში მათ მასობრივად ჩართვას. ამ მიზნით, თბილისის მერიის ხელშეწყობით, გუნდური სპორტის სახეობებში ჩამოყალიბდება სასკოლო ლიგები და რეგულარულად ჩატარდება სკოლების ჩემპიონატები.

6. ჯანმრთელობის და სოციალური დაცვა

- 6.1. მუნიციპალურ დონეზე საზოგადოებრივი და პირველადი ჯანდაცვის მიმართულებების გასაძლიერებლად თბილისის რაიონებში მოეწყობა „ჯანმრთელობის ცენტრები“ (200 000 - 400 000 მოსახლეზე). ამ ცენტრების საქმიანობა მიმართული იქნება სამოქმედო არეალში დაავადებ-
დებათა დროულ გამოვლენასა და პრევენციაზე, ამ მიზნით ისინი მჭიდროდ ითანამშრომლებენ საკურაციო რაიონში მცხოვრები მოსახლეობის ოჯახის ექიმებთან, ეპიდემიოლოგიური პარამეტრების მიხედვით განახორციელებენ ლოკალური საჭიროებების, მოთხოვნილებებისა და პრობლემების იდენტიფიცირებას. აქ მოქალაქეები მიიღებენ ამომწურავ ინფორმაციას ჯანდაცვითი საჭიროებების თაობაზე, აიმაღლებენ ცნობიერებას ჯანმრთელობის არაერთი საკითხის ირგვლივ, რადგან, სამედიცინო სამსახურების გამართულ მუშაობასთან ერთად, მოქალაქის პირად პასუხისმგებლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც საკუთარი, ისე მთლიანად საზოგადოების ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის. „ჯანმრთელობის ცენტრები“ აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ მუნიციპალური ჯანდაცვითი პროგრამებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვადასხვა პროექტების რეალიზაციაში, მათ შორის „ჯანსაღი ქალაქის“ პროგრამაში.
- 6.2. თბილისის მოსახლეობას შევთავაზებთ სამედიცინო დაზღვევის მუნიციპალურ პროგრამას, რომელიც გარკვეული მოცულობით შეავსებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით დაუფინანსებელ ამბულატორიულ და სტაციონარულ სერვისებს. შემუშავდება სადაზღვევო პროდუქტები, რომლებშიც აისახება: 1. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით დაფინანსებული მკურნალობის პაციენტის მიერ თანადაფინანსების ანაზღაურება; 2. პირველადი ჯანდაცვის გაფართოებული კომპონენტი; 3. წამლებით მკურნალობის კომპონენტი. მერია დიფერენცირებული მიდგომის პრინციპით მოახდენს მოქალაქეთა დაზღვევის უზრუნველყოფას უმთავრესად შემდეგი ჯგუფებისათვის: I კატეგორია - პირები რომელთა ოჯახები რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში“ 70,000-100,000 ქულით; II კატეგორია - პირები 6-17 წლის ჩათვლით; III კატეგორია - წლიური 40,000 ლარზე ნაკლები და თვიური 1000 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე პირები; IV კატეგორია - თვიური 1000 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე პირები.
- 6.3. დღეისათვის, თბილისის მერიისა და გამგეობების მიერ მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო და სოციალური საჭიროებების საფასურის სრული ან ნაწილობრივი დაფარვა კომისიურად წარმოებს, რის გამოც ეს პროცესი მოკლებულია რაიმე სახის სტანდარტიზაციასა და

სისტემურობას. ამ სერიოზული ფინანსური, ჯანდაცვითი და სოციალური დაცვის პრობლემის მოწესრიგების მიზნით, შემუშავდება და დაინერგება ინდივიდუალური სამედიცინო და სოციალური დახმარების გაწევის ობიექტური კრიტერიუმები და რეგულაციები, რის შემდეგაც ამ უკანასკნელის გაწევა მოხდება მხოლოდ სპეციალურ და განსაკუთრებულ შემთხვევებში, რადგან მოქალაქეებზე ჯანდაცვასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯი არსებითად აცილებული იქნება სამედიცინო დაზღვევის მუნიციპალური პროგრამით.

6.4. ჩვენ მიერ შემოთავაზებული მუნიციპალური ჯანდაცვის პროგრამის სამოქმედო გეგმის რეალიზაციის შედეგად: საფუძველი ჩაეყრება მუნიციპალური ჯანდაცვის სისტემას, საგრძნობლად გაუმჯობესდება პირველადი და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულება, გარკვეულწილად გაუმჯობესდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ხარჯების ეფექტიანობა, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება სადაზღვევო მედიცინის მიმართულებით, ყოველივე ეს კი პოზიტიურად აისახება დედაქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობასა და ჯანმრთელობაზე.

7. ეკონომიკა, ბიზნესი და დასაქმება

7.1. ჩვენი გუნდის წევრების განსაკუთრებული ძალისხმევით და ბრძოლის შედეგად 2016 წლიდან თბილისის, ისევე როგორც სხვა მუნიციპალიტეტების, ბიუჯეტებში სრულად რჩება მეწარმე ფიზიკური პირების მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი. ამ ცვლილების მიზანი იყო მუნიციპალიტეტის განსაკუთრებული დაინტერესება მცირე მეწარმეობის განვითარებით, რის დროსაც იზრდება, როგორც მცირე მეწარმეთა რაოდენობა, ისე მათი შემოსავლები. სამწუხაროდ, ამ შესაძლებლობების კარგად გააზრება ვერ და არ მოხდა. ჩვენი პრიორიტეტი თბილისში მცირე ბიზნესის განვითარებაა. ამ მიზნით, ჩვენ უკვე შევიმუშავეთ **დედაქალაქში მცირე ბიზნესის განვითარების კომპლექსური პროგრამა**, რომელიც მოიცავს: ბიზნესის საკონსულტაციო-საინფორმაციო მხარდაჭერას, მცირე ბიზნესის უნარების მოკლევადიან კურსს, სხვადასხვა სპეციალურ სასწავლო პროგრამებს, ასევე მცირე ბიზნესის საკრედიტო დაწესებულებებთან საგარანტიო უზრუნველყოფისა და სესხის პროცენტის თანადაფინანსების მსხვილ პროგრამასაც. მცირე ბიზნესის პროექტებისთვის მონეტარული საგარანტიო უზრუნველყოფის ფონდში სახსრების მოცულობა იმგვარად დაიგეგმება, რომ ჯამში მხარდაჭერა გაეწიოს, სულ მცირე, მცირე ბიზნესის 1500 პროექტს საბანკო სესხის მიღებაში და საპროცენტო განაკვეთის შემცირებაში. ამ პროგრამის საფუძველზე დამატებითი სამუშაო ადგილების რაოდენობა, სულ მცირე, 25 ათასი იქნება. ჩვენი პროგრამა მერიის, საბანკო დაწესებულებებისა და მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა სამმხრივ, კარგად გაწერილ თანამშრომლობას დაეფუძნება. ამასთან ერთად, ძირითადი აქცენტები გაკეთდება პროგრამის მონაწილეთა კარგად ინფორმირებულობაზე, ყველა პროცედურის ადვილად გავლის უნარების ფლობაზე, სუბიექტური ჩინოვნიკური გადაწყვეტილებების ალბათობის გამორიცხვასა და რეალური შედეგების წარმოჩენაზე. სპეციალურ ვებგვერდზე განთავსდება ინფორმაცია პროგრამაში ჩართულთა ვინაობის, მათთვის გაწეული დახმარების სახეობის შესახებ და უზრუნველყოფილი იქნება ამ პროგრამის მაქსიმალური გამჭვირვალობა. დაინტერესებულ პირებს ექნებათ კითხვების დასმის შესაძლებლობა, რომელთაც თვეში ერთხელ გაეცემათ ამომწურავი პასუხები.

7.2. ჩვენი გუნდის წევრების მთავრობაში საქმიანობის შედეგად მუნიციპალიტეტებს კანონით აკრძალათ პირდაპირი წესით ქონების განკარგვა. ასეთ მიდგომას თავიდანვე დიდი წინააღმდეგობა შეხვდა, ხოლო მოგვიანებით ეს უფლება თბილისს კვლავ აღუდგა. ცნობილია, რომ ქონების პირდაპირი განკარგვა და მასთან დაკავშირებული საინვესტიციო ვალდებულებებით მანიპულირება კორუფციის მნიშვნელოვანი რისკების მატარებელია. ჩვენ ამ პრაქტიკას შევწყვეტთ. **განვახორციელებთ მერიის მიწებისა და სხვა ქონების პრივატიზებას გამჭვირვალე ელექტრონული აუქციონების მეშვეობით**, რათა რაც შეიძლება მეტი ქონება იყოს გამოყენებული ქალაქის ეკონომიკური განვითარების საქმეში.

- 7.3. თბილისში მოეწყობა რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მუდმივმოქმედი ბაზარი აგრეთვე, ყოველ შაბათ-კვირას ქალაქის ყველა უბანში გაიმართება ბაზრობები, რისთვისაც გარკვეული ადგილები მოკლე ხნით გადაიქცევა ქვეითად მოსიარულეთა ზონებად. გლებებს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, თბილისელ და რეგიონებიდან ჩამოსულ ხელოსნებს და მწარმოებლებს ექნებათ საკუთარი პროდუქციის გამოფენისა და გაყიდვის საშუალება. დავამტკიცებთ გარე ვაჭრობის წესს, რომლის მიხედვითაც: გამოიყოფა გარე ვაჭრობის ადგილები; დადგინდება, თუ რის გაყიდვა შესაძლებელი ამ ადგილებში; დადგინდება, თუ რა წესების დაცვაა საჭირო და, რა მასალების გამოყენებაა ნებადართული ვაჭრობის პროცესში; დადგინდება, თუ რა იურიდიული საფუძვლების შექმნაა საჭირო გარე ვაჭრობისთვის; დადგინდება გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დაცვაზე კონტროლის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ეს წესი გარე ვაჭრობას იმგვარად დაარეგულირებს, რომ, ერთი მხრივ, დაცული იყოს ქალაქის იერსახე, ხელი არ შეეშალოს ადამიანებისა და ავტომობილების უსაფრთხო გადაადგილებას, დაცული იყოს პროდუქციის უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის ნორმები და, მეორე მხრივ, მცირე მეწარმეებს სანებართვო მოსაკრებლის გადახდის საფასურად მიეცეთ კანონიერად საქმიანობის შესაძლებლობა.
- 7.4. ჩვენ დავამტკიცებთ გარე რეკლამის გავრცელების გეგმას. აღნიშნული გეგმა უნდა შეიმუშაონ მერიის არქიტექტურისა და სხვა სამსახურებმა ქალაქის იერსახისა და სხვა პრინციპების გათვალისწინებით. განხორციელდება გეგმის მიღმა დარჩენილი კონსტრუქციების დემონტაჟი. მოხდება გეგმით გათვალისწინებულ ახალ (არარსებულ) სარეკლამო ადგილებზე ნებართვის ახალი აუქციონის პირობებით გაცემა. ბაზრის კვლევის და აუდიტის დასკვნის მიხედვით განისაზღვრება გარე რეკლამის მოსაკრებლის სიდიდე. მოქმედი სანებართვო პირობები გახდება ახალი გარემოებების შესაბამისი. ამრიგად, გარე რეკლამის ბაზარი დაარეგულირდება ისე, რომ შემცირდეს ეკონომიკური აგენტების მოცემულ ბაზარზე დომინირებული მდგომარეობა და აღმოიფხვრას მათი მხრიდან ამის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა.
- 7.5. ჩვენი მიდგომით მოხდება მუნიციპალიტეტის სულ უფრო მეტი ფუნქციის გატანა კერძო სექტორში. შესაბამისად, მოხდება მუნიციპალიტეტის საოპერაციო ფუნქციების სრული ინვენტარიზაცია, განისაზღვრება ის მიმართულებები, რომლებიც კერძო კომპანიებთან კონტრაქტებით უფრო ეფექტიანად განხორციელდება და ტენდერის საფუძველზე შეირჩევა კომპანიები. ფართოდ დაინერგება მრავალწლიანი კონტრაქტების მექანიზმი.

ჩვენი პოლიტიკური ამოცანა მხოლოდ დედაქალაქით არ შემოიფარგლება, რადგან გვინდა, დედაქალაქში წარმატებების მიღწევით ყველას გიჩვენოთ, თუ რას ნიშნავს სინამდვილეში ახლებური სტილის ხელისუფლება, ხოლო თბილისისა და მისი ცალკეული მუნიციპალიტეტების კონკრეტულ მაგალითებზე დაგანახვით, თუ როგორი მიდგომებით ვგეგმავთ, უკეთესობისკენ შევცვალოთ მთელი საქართველო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ!

ჩვენი გამარჯვების შემდეგ, ჩვენ ყველანი, ერთად, თბილისში მოვუვლით იმას, რაც კარგია, შევცვლით იმას, რაც ცუდია, და შევქმნით იმას, რაც გვაკლია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ - შენების დროა!